სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XX, 2022 წელი

მაია ფირჩხაძე[1]
იტალიური სკოლა „ცისკარი“
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2022.20.31

ტერმინ „აფხაზეთის“ გააზრებისთვის ისტორიის სახელმძღვანელოებში[2]

აბსტრაქტი. აფხაზეთი დღეს ოკუპირებული ტერიტორიაა და მასთან უშუალო კონტაქტის საშუალება ქართულ საზოგადოებას და მოსწავლეებს არ გააჩნიათ. საკითხის აქტუალობის გამო მიზნად დავისახეთ, გამოგვეკვლია „ჩვენი საქართველოს“ და „ისტორიის“ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების (ერთ-ერთ ძირითად სასწავლო რესურსების) შინაარსობრივი ნომენკლატურა, რომლის საფუძველზეც უნდა ჩამოუყალიბდეს მოსწავლეს წარმოდგენა ტერმინ „აფხაზეთთან“ დაკავშირებით; უწყობენ თუ არა ისინი ხელს (ან რამდენად უწყობენ) იმ უნარების გამომუშავებას, რომელთა ოპერირებით მოსწავლეები ლოგიკური დასკვნების გაკეთებას შეძლებენ მოცემულ ტერიტორიულ ერთეულთან დაკავშირებით, მათ შორის ტერიტორიული პრობლემების განხილვის დროს.

ეს აქტუალური საკითხია სასწავლო-მეთოდური კუთხითაც, რადგან მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა უშუალოდ მოითხოვს სასწავლო პროცესის ცნებითი კატეგორიებისა და თემების დამუშავების საფუძველზე წარმართვას და, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ის მასალები და რესურსები,

---

[1] **მაია ფირჩხაძე**, ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, იტალიური სკოლა „ცისკარის“ მენტორი მასწავლებელი.

[2] მოხსენება წარმოდგენილი იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე *„აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, ისტორია, სოციალური მეცნიერებანი, კულტურის ძეგლები“*, რომელიც აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა 2022 წლის 8-9 დეკემბერს.

რომელსაც „აფხაზეთთან“ დაკავშირებული თემების შესწავლისას ვთავაზობთ მოსწავლეებს.

საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ „ჩვენი საქართველოს“, „ისტორიის“ გრიფირებულ სასკოლო სახელმძღვანელოში („ჩვენი საქართველო“, VI კლასი, მოსწავლის წიგნი, გამომცემლობა „კლიო“, 2018; „ჩვენი საქართველო“, VI კლასი, მასწავლებლის წიგნი, გამომცემლობა „კლიო“, 2018; ისტორია, VII კლასი, მოსწავლის წიგნი, გამომცელობა „ლოგოს პრესი“, 2020; ისტორია, VII კლასი, მასწავლებელის წიგნი, გამომცელობა „ლოგოს პრესი“, 2020; ისტორია, VII კლასი, მასწავლებელის წიგნი, გამომცელობა „დიოგენე“, 2019; ისტორია, VII კლასი, გამომცელობა „დიოგენე“, 2019; ისტორია; VIII კლასი, გამომცელობა „დიოგენე“,2020; ისტორია, VIII კლასი, გამომცელობა „ლოგოს პრესი“, 2020; ისტორია, IX კლასი, გამომცელობა „დიოგენე“, 2020; ისტორია, IX კლასი, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2020; მოსწავლის წიგნი) წარმოდგენილი ტერმინოლოგიური და მეთოდური აპარატი, ნარატიული და ვიზუალური მასალები ნაკლებად იძლევა ისტორიულ-გეოგრაფიული „აფხაზეთის“ და „აფხაზის“ გააზრებისა და „საქართველოსთან“ და „ქართველთან“ მათი ურთიერთმიმართების დანახვის საშუალებას (და, ზოგადად, არასაკმარისია სანიგია-აფშილია-აბაზგიის და ეგრისი/ლაზიკას შესახებ ცოდნის ჩამოყალიბებისთვის), არც სავარჯიშოები უბიძგებენ მოსწავლეებს უფრო ღრმა ლოგიკური კავშირებისა და კვლევითი სამუშაოს შესრულებისკენ და აღნიშნულ თემაზე სწორი წარმოდგენების ფორმირებისკენ.

მნიშვნელოვანია, ტერმინ „აფხაზეთთან“ დაკავშირებით მოსწავლეებს შევთავაზოთ მრავალფეროვანი ნარატიული მასალა, ისტორიული წყაროები, რუკები და სავარჯიშოები, აქტიურად გამოვიყენოთ მედიაწიგნიერების მიდგომები და მათი ცოდნა, დამოკიდებულებები და წარმოდგენები ისტორიული-გეოგრაფიული აფხაზეთის მიმართ გაცილებით ღრმა და საფუძვლიანი იქნება, გამოუმუშავდებათ ის უნარები, რომელიც საკითხების ღრმად კონტექსტუალიზაციის საშუალებას მისცემს.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, სკოლა, ისტორიის სახელმძღვანელო, გრიფირება, მოსწავლის წიგნი, მასწავლებლის წიგნი, რუკები, სავარჯიშოები.

Maya Pirchkhadze[3]
Sokhumi State University/Italian School „Ciskari“

To understand the Term „Abkhazia“ in History Textbooks[4]

Abstract. Today, Abkhazia is an occupied territory and Georgian society and students do not have any means to have a direct contact with it. Due to the urgency of the issue, we aimed to research and study the content nomenclature of griffied school textbooks of „Our Georgia“ and „History“ (one of the main educational resources), on the basis of which the student should form a proper idea regarding the term „Abkhazia“; Do they contribute (or to what extent) to the development of those skills, by the operation of which the students will be able to make logical conclusions regarding the given territorial unit, including when discussing territorial problems. The mentioned issue is also relevant from the teaching-methodical point of view, as the national curriculum of the third generation directly requires to conduct the educational process on the basis of conceptual categories and topic development. According to the above mentioned issues, the most important are the materials and resources, which we are going to offer students when studying topics related to „Abkhazia“.

The study of the issue showed us, that that the terminological and methodological apparatus, narrative and visual materials presented in the griffied school textbook of „Our Georgia“, „History“ („Our Georgia“, VI grade, student's book, „Klio“ publishing house, 2018; Our Georgia, VI grade, teacher's book., „Klio“ publishing house, 2018; History, VII grade, 2020, „Logos Press“ publishing house). Book, history, grade VII, 2020, „Logos Press“ publishing house; history, grade VII, 2019, publishing house „Diogene“; teacher's book, history, grade VII, 2019, publishing house „Diogene“ History, grade VIII, 2020, publishing house „Diogenes“; History, Class VIII, 2020, Publishing House „Logos Press“; History, Class IX, Publishing House „Diogenes“, 2020; History, Class IX, 2020, Publishing House „Logos Press“, student's book) do not allow us to understand thinking of the historical-geographical „Abkhazia“ and see their relationship with both „Georgia“ and „Georgians“. (and, in general, it is not enough to form knowledge about Sanigia-Apshilia-Abazgia and

---

[3]Maya Firchkhadze, doctor of history, mentor teacher of Italian school "Tsiskar", guest lecturer of Sokhumi State University. Expert-author of scientific-methodical articles of the "Teacher" magazine.

[4] The report was presented at the second international scientific conference "*Cultural Values of Abkhazia: Language, Literature, History, Social Sciences, Cultural Monuments*" organized by Sokhumi State University and the Korneli Kekelidze National Center for Manuscripts of Georgia, which was dedicated to the 100th anniversary of the birth of academician Mariam Lortkifanidze on 8-8-2022. on December 9.

Egris/Lasika). It should be noted, that the exercises are not effective enough and fail to encourage students to establish deeper logical connections, perform research work and form correct ideas on the mentioned topic.

In our opinion, regarding the term „Abkhazia“, students should be offered a variety of narrative material, historical sources, maps and exercises, At the same time, we should actively use media literacy approaches. As a result, we will get the following: their knowledge, attitudes and ideas about historical-geographical Abkhazia will become deeper and more thorough and they will have the opportunity to develop skills, that allow them to contextualize issues deeply.

Key words: Abkhazia, school, history textbook, writing, student's book, teacher's book, Maps, exercises.

ძირითადი კვლევა. აფხაზეთი ჩვენი ტკვილია და დიდ ემოციებთანაა დაკავშირებული. დიდი პრობლემები დიდ ძალისხმევასაც საჭიროებს, ფართო, საფუძვლიან ცოდნას და უნარებს, ისეთი დამოკიდებულებების და ღირებულებების ჩამოყალიბებას, რომელიც გზად და ხიდად გამოგვადგება და საყოველთაო ერთობამდე მიგვიყვანს. ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე ნებისმიერი ცვლილებაც დადებითად უნდა აისახებოდეს ამ პროცესებზე და მომავალი თაობის პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებას უნდა უწყობდეს ხელს.

მოგეხსენებათ, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სასწავლო პროცესი ცნებითი კატეგორიებისა და თემების დამუშავების საფუძველზე უნდა წარიმართოს, რომელ პროცესშიც გასათვალისწინებელია ორი მნიშვნელოვანი ასპექტი:

1) გრძელვადიან მიზნებზე (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) ორიენტირება (რომელიც გულისხმობს სამიზნე ცნებების საშუალებით სასწავლო საკითხებისა და თემების სწავლა-სწავლებას და ცხოვრებისეულ სიტუაციაში რეალიზებას) და

2) სწავლა-სწავლება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაყრდნობით (რომელიც გულისხმობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას, ახალი ცოდნის კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დამყარებას).

სასწავლო რესურსების გარეშე ამ ცვლილებათა დისიმინაცია გაკვეთილებზე ვერ მოხვდება. ჩვენი სამაგიდე კვლევის მიზანიც ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო რესურსის - გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების - იმ ძირითადი შინაარსობრივი ნომენკლატურის წარმოჩენა გახლავთ, რომელიც ემსახურება მოსწავლეში შესასწავლ ცნებებთან დაკავშირებული წარმოდგენების ფორმირებას „ჩვენი საქართველოსა“ და „ისტორიის“ სას-

წავლო კურსის ფარგლებში. ყურადღება გავამახვილეთ, თუ რა ცოდნას გვაწვდიან სასკოლო სახელმძღვანელოები საქართველოს მხარეების და კონკრეტულად ისტორიულ-გეოგრაფიული აფხაზეთის, ამ მხარისა და მისი მკვიდრების დანარჩენ საქართველოსთან და ქართველებთან ისტორიული ურთიერთობის შესახებ. უწყობენ თუ არა ხელს ეს სახელმძღვანელოები იმ უნარების გამომუშავებას, რომელთა ოპერირებით მოსწავლეები ლოგიკური დასკვნების გაკეთებას შეძლებენ მოცემულ ტერიტორიულ ერთეულთან დაკავშირებით, მათ შორის ტერიტორიული პრობლემების განხილვის დროს.

ცნებები: ხალხი, მდებარეობა, რუკა, საზღვარი, ერი, ეთნიკური ჯგუფი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, კულტურული მემკვიდრეობა აქტიურად შემოდის სწავლის დაწყებით საფეხურზე, საგან „ჩვენი საქართველოს“ შესწავლის დროს. საგნის სტანდარტის მიხედვით აღნიშნული ცნებები მუშავდება საქართველოს მხარეების (ისტორიულ-ეთნოგრაფიული დაყოფით) და მათ შორის - აფხაზეთის - მაგალითზე.

თემისთვის *„საქართველოს მხარე“, სწავლის შედეგებთან დასაკავშირებლად* „ჩვენი საქართველოს“ საგნობრივი *სტანდარტი გვთვაზობს კითხვებს. ისინი არ წარმოადგენენ* შეკითხვებს, რომლებიც პედაგოგმა მოსწავლეებს უნდა დაუსვას. საგაკვეთილო პროცესი მათ პროვოცირებას უნდა ემსახურებოდეს. კონსტრუქტივისტული სწავლების დროს, ეს კითხვები ცოდნის აქტუალიზაციის საშუალებას იძლევიან და ერთგვარი საყრდენები არიან, რომელზედაც ახალი ცოდნა უნდა აიგოს.

როგორი ცოდნა-წარმოდგენების *ჩამოყალიბებას უწყობს ხელს მოსწავლეს ამ საკითხის ირგვლივ სახელმძღვანელო?*

განვიხილოთ VI კლასი სახელმძღვანელო „ჩვენი საქართველო“, მოსწავლის წიგნი, რომლის ავტორები არიან როლანდ თოფჩიშვილი, ელენე მეძმარიაშვილი, ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი. წიგნი 2018 წელს გამოსცა „კლიომ“, მათ ეკუთვნით მასწავლებლის წიგნი „ჩვენი საქართველო“, VI კლასი, მასწავლებლის წიგნი, ავტორები: ანა კუპრავა-გოგოლაძე, გიორგი ავთანდილაშვილი. გამომც. „კლიო“, 2018.

მოსწავლის სახელმძღვანელოში შემოთავაზებული ნარატიული მასალის და დავალებების (თოფჩიშვილი, მეძმარიაშვილი, ელიზბარაშვილი, ავთანდილაშვილი, 2018: *10-27) ძირითადი კონცეპტები ასეთია:*

- ✓ აფხაზეთი ისტორიული საქართველოს განუყოფელი ნაწილია; მდებარეობს საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. დასავლეთიდან მას შავი ზღვა, ჩრდილოეთიდან კავკასიონი მთავარი წყალგამყოფი ქედი და მდინარე ფსოუ, ხოლო აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან კოდორის ქედი და მდინარე ენგური ესაზღვრება. აფხა-

ზეთის დედაქალაქია სოხუმი (თოფჩიშვილი,მეძმარიაშვილი, ელიზბარაშვილი, ავთანდილაშვილი, 2018: 10-11);

- ✓ ისტორიულად ამ მხარეში ადამიანი უხსოვარი დროიდან ცხოვრობს და საინტერესოდ ვითარდებოდა ანტიკურ პერიოდშიც;
- ✓ მეურნეობის დარგების განვითარების მიხედვით აფხაზეთი ჰგავს დასავლეთ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს (თოფჩიშვილი, მეძმარიაშვილი, ელიზბარაშვილი, ავთანდილაშვილი, 2018: 12-15);
- ✓ დასახლების ტიპების მიხედვით „აფხაზურ“ და „ქართულ“ ტრადიციებს შორის დიდი მსგავსებაა და, ზოგადად, აფხაზებს აქტიური „კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებთან“ (თოფჩიშვილი, მეძმარიაშვილი, ელიზბარაშვილი, ავთანდილაშვილი, 2018: 16-17);
- ✓ აფხაზები ძველად მდინარე კოდორამდე ცხოვრობდნენ, კოდორის სამხრეთ-აღმოსავლეთით ქართველები, კერძოდ, მეგრელები, კოდორის ხეობაში კი - სვანები. ენობრივად ჩრდილო კავკასიელი ადიღეელების მონათესავეები არიან, დროთა განმავლობაში მათ ბევრი ქართველი (მეგრელი) შეერია, რაც მათ გვარებზეც აისახა, რომელთა ნახევარზე მეტი ქართულია (თოფჩიშვილი, მეძმარიაშვილი, ელიზბარაშვილი, ავთანდილაშვილი, 2018: გვ. 20-21);
- ✓ აფხაზთა თავად-აზნაურობა ყოველთვის ქართველი თავად-აზნაურობის ნაწილად მიიჩნევდა თავს; აფხაზებს საოჯახო სამეტყველო ენა თავისი ჰქონდათ, მაგრამ სალიტერატურო, სახელმწიფო, საღვთისმეტყველო ენა ყოველთვის ჰქონდათ ქართული, რაზედაც აქაური ქართული წარწერები მოწმობენ. საუკუნეების განმავლობაში ქართველებს თავისი პატარ-პატარა სახელმწიფოები ჰქონდათ: ცალკე იყო აფხაზთა სამეფოც, რომელიც გარკვეულ პერიოდში მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა და დედაქალაქიც ქუთაისში ჰქონდა; საქართველოს გაერთიანების პროცესში აფხაზთა სამეფოც იყო ჩართული და ვინაიდან გაერთიანებული სამეფოს მეფე პირველად აფხაზთა სამეფოში ეკურთხა, ქართველ მეფეთა ტიტულატურა ასე იწყებოდა: მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა“ (თოფჩიშვილი, მეძმარიაშვილი, ელიზაბარაშვილი,ავთანდილაშვილი, 2018:20).
- ✓ გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი ხაზს უსვამს აფხაზებისა და მეგრელების მსგავსებას;
- ✓ ცნობილი აფხაზი მოღვაწე გიორგი შერვაშიძე (XIX ს. მეორე ნახევარი - XX ს. დასაწყისი) საქართველოს „ჩვენ სამშობლო ივერიას“ უწოდე-

ბდა და აფხაზებისა და ქართველების კეთილი ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა (თოფჩიშვილი, მეძმარიაშვილი, ელიზაბარაშვილი, ავთანდილაშვილი, 2018: 21);

- ✓ სულხან-საბა ორბელიანი, ისევე როგორც თამარ მეფის ისტორიკოსი აფხაზებს ქართველებად მიიჩნევდნენ (თოფჩიშვილი, მეძმარიაშვილი, ელიზბარაშვილი, ავთანდილაშვილი, 2018: 21);
- ✓ ხანგრძილივი ისტორიის მანძილზე ისინი საქართველოს თავისუფლებისთვის იბრძოდნენ (თოფჩიშვილი, მეძმარიაშვილი, ელიზბარაშვილი, ავთანდილაშვილი, 2018: გვ. 21);
- ✓ დავალება მოითხოვს მოსწავლისგან, ჩამოწეროს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ქართველები და აფხაზები ერთმანეთის გვერდიგვერდ მეგობრულად ცხოვრობდნენ (თოფჩიშვილი, მეძმარიაშვილი, ელიზაბარაშვილი, ავთანდილაშვილი, 2018: 21). (თუმცა არ ეკითხება, რატომ შეიძლებოდა სულხან-საბა ორბელიანს ან თამარ მეფის ისტორიკოსს აფხაზები ჩაეთვალა ქართველებად);
- ✓ ბიჭვინთა დიდი ხნის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრი იყო და შემდეგ მტრის შემოსევების გამო, XVI საუკუნეში, ბიჭვინთის კათალიკოსის რეზიდენცია ქუთაისში გადაიტანეს (თოფჩიშვილი, მეძმარიაშვილი, ელიზბარაშვილი, ავთანდილაშვილი, 2018: 25). აფხაზეთში ქრისტიანული კულტურის არაერთი ძეგლია და მათ შორის ქართული საეკლესიო არქიტექტურის რამდენიმე ძეგლიც, ასევე ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის მიერ აშენებული ბედიის ტაძარიც (999 წელს) (თოფჩიშვილი, მეძმარიაშვილი, ელიზბარაშვილი, ავთანდილაშვილი, 2018: 25-26);
- ✓ შემაჯამებელ დავალებად სახელმძღვანელო მოსწავლეებს სთავაზობს სამუშაოს აფხაზეთში სოფლის მეურნეობის დარგების და ტურიზმის განვითარების შესახებ. დავალების მიზანია, მოსწავლეებმა მოიძიონ ინფორმაცია და არგუმენტირებულად იმსჯელონ აფხაზეთში სოფლის მეურნეობის დარგების და ტურიზმის განვითარების სამომავლო პერსპექტივებზე, ჩამოაყალიბონ და დაიცვან საკუთარი პოზიცია (თუმცა მასწავლებელს აქვს საშუალება სრულიად სხვა დავალება შესთავაზოს მოსწავლეებს);
- ✓ XIX საუკუნის 60-70-იან წლებში რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიის ომების დროს ძალით გადაასახლა მუსლიმი აფხაზები ოსმალეთში (მუჰაჯირობა) და ამ ტერიტორიაზე თავისი ერთგული ხალხის ჩამოსახლება სურდა (თოფჩიშვილი, მეძმარიაშვილი, ელიზბარაშვილი,

ავთანდილაშვილი, 2018: 22) (ანუ რუსეთის ხელისუფლებას არც არა-ქრისტიანი აფხაზები უნდოდა იქ და არც ქართველები);

- ✓ XX საუკუნის ბოლოს რუსეთის ხელისუფლებამ ქართველებსა და აფ-ხაზებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება წააქეზა და თავადაც ომში ჩაება საქართველოს წინააღმდეგ, რის შედეგადაც ქართველე-ბის უმრავლესობამ, სხვა ეროვნების ადამიანების მსგავსად, აფხაზე-თი იძულებით დატოვა და საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა (თო-ფჩიშვილი, მეძმარიაშვილი, ელიზბარაშვილი, ავთანდილაშვილი, 2018:23);
- ✓ დავალების პირობის მიხედვით, ბავშვებმა, როგორც საქართველოს მოქალაქეებმა, უნდა მოიფიქრონ, როგორ შეიძლება აფხაზების შე-მორიგება; მიწერონ წერილი აფხაზ თანატოლს, რომელშიც შესარი-გებლად „გაუწვდიან ხელს“ (თოფჩიშვილი, მეძმარიაშვილი, ელიზ-ბარაშვილი, ავთანდილაშვილი, 2018: გვ. 23).

არსებული ნარატიული თუ ვიზუალური მასალის საფუძველზე, სახელ-მძღვანელო ხელს უწყობს აფხაზეთთან დაკავშირებით ისეთი წარმოდგენების ფორმირებას, როგორიცაა:

- ✓ აფხაზეთი არის კოდორს იქეთ ფსოუმდე ტერიტორია (ამგვარი მიდ-გომით დაიკარგა „ისტორიული აფხაზეთი“ - ფსოუს იქეთა ტერიტო-რია, რომელშიც არ შედიოდა ცხმუმი/სოხუმი და „აფხაზეთად“ მივი-ღეთ მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეების აფხაზეთის სამთავროს ტე-რიტორია, რომლის ცენტრია ქალაქი სოხუმი);
- ✓ აფხაზები არიან ენობრივად ჩრდილოკავკასიელების მონათესავეე-ბი, მაგრამ სახელმწიფო, სალიტერატურო და საღვთისმეტყველო ენად ჰქონდათ ქართული; აფხაზეთის ტერიტორიაზე, აფხაზებთან ერთად, ისტორიულად ცხოვრობდნენ ქართველებიც; აფხაზებს და ქართველებს ახლო კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდათ ერთმანეთთან; აფხაზთა სამეფო ყოველ-თვის მოიაზრებოდა გაერთიანებული საქართველოს ნაწილად. ქარ-თული სახელმწიფოს არსებობას ამ ტერიტორიაზე ადასტურებს უძ-ველესი ტაძრების ფრესკებზე აღმოჩენილი ქართული ასომთავრუ-ლი წარწერები (კუპრავა - გოგოლაძე, ავთანდილაშვილი, 2018: 86
- ✓ საუკუნეების განმავლობაში ქართველებს ჰქონდათ თავისი პატარა სახელმწიფოები (ქართლის, კახეთის, ტაო-კლარჯეთის) და მათ მსგავსად ასევე ჰქონდათ თავისი სამეფო აფხაზებსაც; შემდეგ აფხა-ზები და ქართველები გაერთიანდნენ და ერთ სახელმწიფოში ცხოვ-რობდნენ; რუსეთის ჩარევით აფხაზები წაეკიდნენ ქართველებს და

ქართველებს მოუწიათ აფხაზეთის ტერიტორიის დატოვება და იქცნენ დევნილებად. ახლა აფხაზეთი ცალკეა და დანარჩენი საქართველო - ცალკე. დღეს აფხაზეთი განიხილება საქართველის რეგიონად (კუპრავა - გოგოლაძე, ავთანდილაშვილი, 2018 63), რომელიც დროებით დაკარგულია.

ფაქტობრივად,ვიღებთ სიტუაციას, რომ აფხაზეთში ცხოვრობდნენ „აფხაზები“, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში ახლო ურთიერთობა ჰქონდათ „იქ მაცხოვრებელ ქართველებთან“ (ისევე როგორც სხვა მეზობელ ქართულ ტერიტორიებთან) და ახლა, რუსების ჩარევით, წაეკიდნენ ქართველებს და ქართველებსაც მოუწიათ აფხაზეთის დატოვება, რომელსაც მანამდე საკუთარი ქვეყნის ნაწილად მიიჩნევდნენ, რადგან ამ პოზიციაზე (აფხაზეთის ტერიტორიულ კუთვნილებაზე) არც აფხაზები ამბობდნენ უარს.

სასურველია თემა „აფხაზეთში“ წარმოდგენილი დავალებები, მათ შორის შემაჯამებელიც (კუპრავა - გოგოლაძე, ავთანდილაშვილი, 2018. იხ. მასალები), უფრო თამამად სთავაზობდეს მოსწავლეს, „დაინახოს“ ისტორიულ-გეოგრაფიული „აფხაზეთი“ და ის, თუ ვინ არის „აფხაზი“, მითუფრო, რომ სტანდარტი იძლევა საშუალებას ცნებებზე „ხალხი, მდებარეობა, რუკა, საზღვარი, ერი, ეთნიკური ჯგუფი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე..“ მუშაობისას რეალურად მოვახერხოთ „ქართველისა“ და „აფხაზის“ ურთიერთმიმართების გაგება/გააზრება, თუნდაც ვიზუალური მასალების (მაგალითად, რუკების) შედარების გზით, რითაც ცნება „საზღვარიც“ უეკთესად გასაგები გახდება მოსწავლისთვის.

ვფიქრობთ, ეს მოგვცემს საშუალებას სწავლის დაწყებით საფეხურზევე უფრო ღრმად დაინახოს მოსწავლემ აფხაზეთთან დაკავშირებული პრობლემები და რეალურად გაითავისონ ის ისტორიული მემკვიდრეობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გადმოგვეცა წინაპრებისგან.

რაც შეეხება საბაზო საფეხურზე არსებულ მიდგომას ცნება „აფხაზეთის“ გაგებასთან დაკავშრებით:

საბაზო საფეხურზე საგანი „ისტორია“ საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ინტეგრირებულ სწავლა-სწავლებას გულისხმობს. სასწავლო კურსის განმავლობაში მოსწავლე გაეცნობა საქართველოს ისტორიის უმთავრეს ეპიზოდებს უძველესი დროიდან დღემდე და დაუკავშირებს მათ მსოფლიო ისტორიის საკვანძო მოვლენებს; შეისწავლის სხვადასხვა ეპოქის სოციალურ ისტორიას (რელიგია, კულტურა, ეკონომიკა); დაინახავს, რომ თანამედროვეობა და წარსული ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს ისტორიაში საბაზო საფეხურის ბოლოს.

შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

- *ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა* - გულისხმობს ისტორიული მოვლენებისა და პროცესების, ასევე ისტორიული პიროვნებების მრავალმხრივად შეფასებას; ისტორიული შინაარსის ტექსტების წაკითხვა-გააზრებასა და გაანალიზებას.
- *ისტორიული ეპოქის აღქმა/ანალიზი* - გულისხმობს სხვადასხვა ისტორიული ეპოქების არსებითი მახასიათებლების გამოკვეთას, თანამედროვეობასთან პარალელების გავლებას.
- *ღირებულებები და დამოკიდებულებები* - გულისხმობს ისტორიის სწავლა-სწავლების პროცესის ღირებულებების (პატრიოტიზმი, სახელმწიფოებრივი აზროვნება და კულტურული მრავალფეროვნება, მათ შორისაა: ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიან კონტექსტში გააზრება. *ისტ. საბ. 10*) განვითარებაზე ორიენტირებულად წარმართვას.

სტანდარტის შინაარსი შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებებისა და თემების სახით. ეს თემებია:

VII კლასი: პრეისტორია/ქვის ხანა; ბრინჯაოს ხანა/ძველი აღმოსავლეთი; ანტიკური და გვიანანტიკური ხანა;

VIII კლასი: შუა საუკუნეები; გვიანი შუა საუკუნეები და ახალი დრო.

IX კლასი: „ხანგრძლივი მე-19 საუკუნე“; პირველი მსოფლიო ომის პერიოდი/საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა; საბჭოთა პერიოდი; საქართველო და თანამედროვე მსოფლიო.

აქ მუშავდება ცნებები (დრო, სივრცე, საზოგადოება, ისტორიული მოვლენა/პროცესი, ძალაუფლება, წყარო, ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა), რომლებიც შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები *სავალდებულო თემების* სახითაა წარმოდგენილი. ეროვნული სასწავლო გეგმა თემების გასაშლელად საჭირო საკითხებს *სავალდებულო სახით არ განსაზღვრავს.* პედაგოგებსა და სახელმძღვანელოს ავტორებს უფლება აქვთ, თითოეული თემისთვის საკითხები თავად შეარჩიონ. თუმცა, სავალდებულოა შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინება:

- ✓ თითოეულ თემაში წარმოდგენილი უნდა იყოს საკითხები როგორც მსოფლიო, ისე საქართველოს ისტორიიდან;
- ✓ საკითხების შერჩევისას აქცენტი უნდა გაკეთდეს საქართველოს ისტორიისთვის საკვანძო მოვლენებისა და პიროვნებების წარმოჩენაზე.

სასწავლო თემები	**ცნებები**, რომელიც თითოეული თემის ფარგლებში უნდა დამუშავდეს:
VII კლასი 1. ..... **VIII კლასი** 1. ..... . **IX კლასი** 1. „ხანგრძლივი მე-19 საუკუნე“; 2. პირველი მსოფლიო ომის პერიოდი/საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა; 3. საბჭოთა პერიოდი; 4. საქართველო და თანამედროვე მსოფლიო.	**დრო** ცვალებადობა, ქრონოლოგია, წელთაღრიცხვის სისტემა, საუკუნე, ათასწლეული, ისტორიული პერიოდი, ეპოქა; **სივრცე** კონტინენტი (ევროპა, აზია); რეგიონი (კავკასია, მცირე აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი, მახლობელი აღმოსავლეთი, შუა და ცენტრალური აზია); საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე; **საზოგადოება** სოციალური ფენა, ეკონომიკა, კულტურა; რელიგია; მსოფლმხედველობა;ეთნოსი/ერი; „კულტურული სხვა“; **ისტორიული მოვლენა/პროცესი** პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია; **ძალაუფლება** სახელმწიფო, დემოკრატია. **წყარო, ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა** წყარო (პირველადი, მეორადი), ფაქტი/ინტერპრეტაცია/ სტერეოტიპი, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები.

რით ავსებს მოსწავლე ცნება „აფხაზეთს“ ამ ეტაპზე? რა დამატებითი ინფორმაცია მიიღო ამ ცნების ირგვლივ?

განვიხილოთ 2020 წლის „ლოგოს პრესის“, VII კლასის ისტორიის სახელმძღვანელო (სურგულაძე, გამყრელიძე, კიკნაძე, პატარიძე, კერესელიძე, 2020) 129-ე გვერდზე მოცემულია წყარო - რუკა „ქართლის სამეფო ფარსმან III-ის ლაშქრობების შემდეგ“ (ახ. წ. II ს. შუახანები)

წყარო ბ ქართლის სამეფო ფარსმან III-ის ლაშქრობების შემდეგ
(ახ. წ. II საუკუნის შუახანები)



თუ დროში ისტორიულ ექსკურსს შესთავაზებს მასწავლებელი, მოსწავლე ადვილად იპოვის პასუხს, რომ თანამედროვე „აფხაზეთის“ ტერიტორიაზე ახ. წ. II საუკუნეში მდებარეობდა სანიგია-აფშილია-აბაზგია, რომლებიც იმ დროისათვის რომის იმპერიის სამფლობელოებს წარმოადგენდნენ (მათი მეზობელი იყო ეგრისი (ლაზიკა).

157 -ე გვერდზე წარმოდგენილი წყაროს მიხედვით კი, სანიგია-აფშილია-აბაზგიას ტერიტორია მთელ დასავლეთ საქართველოსთან ერთად „ეგრისად“ იწოდება, რომელიც ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფება.

დამეთანხმებით, რომ ლოგიკური ჯაჭვი აფხაზეთთან დაკავშირებით არ არსებობს: მოსწავლისთვის, რომელიც მე-6 კლასიდან გადავიდა მე-7 კლასში, შემოთავაზებული ნომენკლატურა მის წინარე ცოდნას არ ეფუძნება, რადგან ის ინფორმაცია, რასაც ხედავს საქართველოს უკიდურეს ჩრდილოდასავლეთ ტერიტორიებთან დაკავშირებით, რა კავშირშია იმასთან, რაც ამ საკითხზე აქამდე იცოდა, მისთვის ძნელად აღსაქმელი იქნება. ამ მიმართულებით რაიმე სავარჯიშოსაც მას სახელმძღვანელო არ სთავაზობს (შინაარსობრივი აქცენტები სხვა მიმართულებითაა).

იმავე გამომცემლობის მასწავლებელის წიგნშიც (კერესელიძე, უზუნაშვილი, სურგულაძე, კიკნაძე, სუმბათაშვილი, 2020) რაიმე კონკრეტული ინფორმაცია ცნების უკეთ გააზრებისთვის არ მოიპოვება. მითითებულია მხოლოდ, რომ „მართლმადიდებლობა გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში. IV საუკუნიდან მოყოლებული, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანია. მათი წარმომადგენლები არიან: ქართვე-

ლები, ბერძნები, რუსები, უკრაინელები, ოსები, აფხაზების ნაწილი (კერესელიძე, უზუნაშვილი, სურგულაძე, კიკნაძე, სუმბათაშვილი, 2020:153).

გამომცემლობა „დიოგენეს“ მიერ 2019 წელს შემოთავაზებულ წიგნში *ცნება „აფხაზეთის“ გააზრებისთვის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს ისტორიული რუკები:*

- ✓ რუკა „ნეოლითისა და ენეოლითის სადგომები საქართველოს ტერიტორიაზე“ - საქართველოს უკიდურესი ჩარდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ფსოუსთანაა (ლორთქიფანიძე, ახმეტელი, 2019:14);
- ✓ რუკა „ძველი სპარსეთის (აქემენიანთა) სახელმწიფო“ - დასავლეთ საქართველო „კოლხეთია“ (ლორთქიფანიძე, ახმეტელი, 2019: 48).
- ✓ რუკა: ბერძნული კოლონიები შავ ზღვაზე: დასავლეთ საქართველო „კოლხეთია“, სადაც მდებარეობს ქალაქები - დიოსკურია და გიენოსი (ლორთქიფანიძე, ახმეტელი, 2019: 58; 60);
- ✓ რუკა „ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობები“, „ელინისტური სახელმწიფოები“ - დასავლეთ საქართველო საერთო სახელწოდებითაა წარმოდგენილი „კოლხეთი“ (ლორთქიფანიძე, ახმეტელი, 2019: 81; 87);
- ✓ რუკა „ფარნავაზის მიერ დაარსებული საერისთავოები“ საქართველოს უკიდურესი ჩარდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ფსოუსთან და მდინარე მზიმთასთან გადის. აქ მდებარეობს დიოსკურია და გიენოსი. მხარე ეგრისის საერისთავოში შედის (ლორთქიფანიძე, ახმეტელი, 2019:88);
- ✓ რუკა „რომის დაპყრობითი ომები“ იგივე ტერიტორია „კოლხეთია“; (ლორთქიფანიძე, ახმეტელი, 2019: 96);
- ✓ აფშილები, ლაზების მეზობლები, აფხაზური ტომია, მათ მეზობლად ცხოვრობენ სანიგები,სადაც მდებარეობს სებასტოპოლისი (ლორთქიფანიძე, ახმეტელი, 2019:108);
- ✓ რუკა „პომპეუსის ლაშქრობა საქართველოში“ - ძვ. წ. I ს-ში ქალაქები - პიტიუნტი, დიოსკურია, გიენოსი - ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს ნაწილია (ლორთქიფანიძე, ახმეტელი, 2019:103).
- ✓ რუკა „ქართლის სამეფო VII საუკუნეში“ - აბაზგები, აბშილები - კოლხეთის ტერიტორიულ ერთეულში ერთიანდებიან (ლორთქიფანიძე, ახმეტელი, 2019: 107:
- ✓ ფლავიუს არიანეს „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ (131 წ.) მოგვითხრობს: „აფსილები აფხაზური ტომია და ლაზების მეზობლები არიან. მათ შემდეგ ცხოვრობენ სანიგები, რომელთა მიწაზეა სებასტოპოლისი“ (ლორთქიფანიძე, ახმეტელი, 2019: 108).

დასკვნა: აფშილები იგივე აფხაზებია; აფშილები და აბაზგები ლაზების და სანიგების მეზობლები არიან; ბერძნული კოლონიზაციის ეპოქაში ეს მხარე „კოლხეთადაა“ ცნობილი, ისევე როგორც გვიანანტიკურ პერიოდში. კოლხეთი იგივე შემდეგდროინდელი ეგრისია.

იმავე ავტორების მასწავლებლის წიგნში რაიმე კონკრეტული ინფორმაცია ტერმინ „აფხაზეთთან“ დაკავშირებით არ გვხვდება.

როგორც ვხედავთ, იმის მიხედვით, რომელ სახელმძღვანელოს აირჩევს მასწავლებელი, სხვადასხვა სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებს განსხვავებული ცოდნა ექნებათ ცნება „აფხაზეთთან“ დაკავშირებით (ცხადია, სახელმძღვანელო ერთადერთი რესურსი არაა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, სასურველია, სახელმძღვანელოთა ავტორები მეტი თანმიმდევრულები და მეტად დაინტერესებული იყვნენ ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლისთვის მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხების წარმოჩენით).

აღნიშნული საკითხი შედარებით ვრცლად შეისწავლება გამომცემლობა „დიოგენეს“ მე-8 კლასის „ისტორიის“ სახელმძღვანელოში.

- ✓ დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აფხაზეთის საერისთავო მდებარეობდა.მისი მთავარი ქალაქი ანაკოფია იყო (რომელიც თანამედროვე სოხუმის, იმდროინდელი ცხუმის, იქეთ მდებარეობდა). აფხაზეთის დაწინაურება თანდათან მოხდა; ეგრის-ლაზიკის სამეფოს დასუსტებასა და დაშლასთან ერთად აფხაზეთი გაძლიერდა და ეგრის-ლაზიკის ტერიტორიაც შეიერთა; VIII ს-ის ბოლოს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთის სამეფო ჩამოყალიბდა. აფხაზეთის სამეფო შავი ზღვის სანაპიროდან აღმოსავლეთით ლიხის ქედამდე ვრცელდებოდა, ჩრდილოეთით - ნიკოფსიამდე, სამხრეთით კი - მდინარე ჭოროხის ხეობამდე. სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი გახდა; კოლხეთის სამეფოს ტერიტორიულ ერთეულებში შედიოდნენ აბაზგები და აფშილები, შემდეგ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა ეგრის-ლაზიკის სამეფო და ეს მოსახლეობა ეგრის-ლაზიკის საზღვრებში არიან, VIII ს-ის ბოლოს კი ამავე ტერიტორიაზე აფხაზეთის სამეფო შეიქმნა, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებს; აფხაზთა მეფეები X საუკუნის დამდეგიდან თვალსაჩინო წარმატებას აღწევენ საქართველოს გაერთიანების გზაზე (ჯერ კონსტანტინე მეფემ გადმოლახა ლიხის ქედი და არა მარტო ქართლი დაიკავა, არამედ კახეთ-ჰერეთშიც შედგა ფეხი. კახეთის მთავარმა კვირიკე ქორეპისკოპოსმა მართალია, კონსტანტინე მეფესთან დაზავებისას ბოჭორმის ციხე შეინარჩუნა, მაგრამ ის იძულებული გამხდარა ამ უკანასკნელისთვის არიში და გავაზნიც დაეთ-

მო. კონსტანტინეს მემკვიდრის გიორგის დროს აფხაზთა სამფლობელოები კახეთ-ჰერეთში კიდევ უფრო გაფართოვდა.. თუმცა ამ საქმის დაგვირგვინება აფხაზთა მეფეს მაინც არ ხვდა წილად. აფხაზთა მეფეების გიორგისა და ლეონის გააფრთებულ ცდებს, როგორმე შეენარჩუნებინათ ქართლი და კახეთი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. მათ ბატონობას აღმოსავლეთ საქართველოში, აშკარაა, დიდაზნაურთა შორის მრავალი მოწინააღმდეგე ჰყოლია. აფხაზთა მეფეები იძულებული გამხდარან აღმოსავლეთზე საბოლოოდ აეღოთ ხელი და ისევ დასავლეთში გადასულიყვნენ. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება ტაო-კლარჯეთს ხვდა წილად“ (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, 2020: 40-41; 51; 63; 78-142).

- ✓ IX-X საუკუნეებში აფხაზეთის სამეფო მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს; ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III ჯერ „აფხაზთა (დასავლეთ საქრთველოს) მეფე“ ხდება; XI საუკუნის დასაწყისში „აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა სამეფო“ კავკასიის მნიშნელოვანი პოლიტიკური ერთეულია. XI-XII საუკუნეებში ერთიანი საქართველოს მეფეები ამ ტიტულით მოიხსენიებოდნენ. თამარი „აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა და დედოფლის, შარვანშას და შაჰანშას და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობელის“ ტიტულს ატარებდა (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, 2020: 78-142).
- ✓ დროთა განმავლობაში ერთიანი საქართველო შიდა და გარე პოლიტიკური სირთულეების შედეგად დაიშალა. დაიშალა დასავლეთ საქართველოს ერთიანობაც და ამ მხარეში ცალკე ტერიტორიულ ერთეულებად გვხვდება: „იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და ლაზთა“ (ისტორიული წყარო - ფარსად გორგიჯანიძე, XVII ს. ამასიის ზავის შესახებ (1555 წ) (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, 2020:225).
- ✓ აფხაზთა საკათალიკოსო დასავლეთ საქართველოს აერთიანებს: „ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი 1632 წლიდან მეტეხის ტაძრის წინამძღვარია, ხოლო 1657 წელს იყო აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი“(ახმეტელი, ლორთქიფანიძე, 2020: 247).
- ✓ აფხაზეთი დასავლეთ საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილია, მდებარეობს „ეგრისის“ იქეთ (იმავე ტერიტორიაზე, როგორც ეს შედარებით ადრეული პერიოდის მასალებშია ნაჩვენები (ისტორია, VII, „დიოგენე“) და ცხუმი (თანამედროვე სოხუმი) ამ ტერიტორიულ ერთეულს გარეთაა (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, 2020: 41, რუკა 9) „მურვან ყრუს ლაშქრობა საქართველოში“; (ახმეტელი, ლორთ-

ქიფანიძე, 2020: 49, რუკა 10); „ახალი ქართული სამეფო-სამთავროების აღმოცენება“.

- ✓ რუკა 14, „საქართველოს გაერთიანება მეფე ბაგრატ III-ის დროს“: აფხაზეთი, რომელიც დასავლეთ საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილში მდებარე ტერიტორიული ერთეულია (ბოლო წერტილია ნიკოფსია) ახლა მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებს და „აფხაზთა სამეფოდ“ იწოდება (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, 2020:86).
- ✓ აფხაზეთი საქართველოს უშუალო შემადგენელი ნაწილია XI, XII, XIII, XIV-XV საუკუნეებში და ცხუმი, თანამედროვე სოხუმი, არც ამ პერიოდში არ შედის აფხაზეთის ტერიტორიულ ერთეულში (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, 2020: 89, რუკა 15) „საქართველო მეფე გიორგი I -ის დროს“ (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, 2020: 98, რუკა 18); „თურქ-სელჩუკთა ლაშქრობები საქართველოში“ (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, 2020: 117, რუკა 22) „მეფე დავით აღმაშენებლის ლაშქრობები“ (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, 2020: 137, რუკა 24); „საქართველო თამარ მეფის მმართველობის დროს“ (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, 2020: 157, რუკა 30) „მონღოლთა მიერ დუმნებად დაყოფილი საქართველო“ (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, 2020: 167, რუკა 33); „საქართველო მონღოლთა ბატონობის მიწურულს“ (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, 2020: 171, რუკა 34) „საქართველო მეფე გიორგი V ბრწყინვალის დროს“ „თემურლენგის შემოსევები საქართველოში“ (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, 2020: 176, რუკა 35); მაგრამ მდგომარეობა იცვლება 196-ე გვერდზე, აქ დევს რუკა 40: „საქართველოს სამეფო-სამთავროები XVI ს.-ის ბოლოს“, სადაც აფხაზეთი იმერეთის სამეფოს ერთ-ერთი სამთავროა (რომელიც ოდიშის იქეთ მდებარეობს)და ცხუმიც (სოხუმი) ამ ტერიტორიულ ერთეულშია მონიშნული. მოცემულ რუკაზე აფხაზეთის ტერიტორიული ერთეულის საზღვარიც მდინარე კოდორთან გადის. ისტორიული საზღვრების ამ ცვლილებაზე კონკრეტული საუბარი არაა, მაგრამ საკითხი განხილულია გვიან შუა საუკუნეებში ერთიანი ქვეყნის დაშლის კონტექსტში, რომლის მიზეზი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები გახდა (მაგალითად, 195-ე გვერდზე მოტანილია ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (XVIII ს): „ხოლო იყო ეს გიორგი მეფე (გიორგი VIII) თავდაპირველად ბედნიერი და წარმატებული, სიკეთით სავსე, შემდეგ კი შეიცვალა ბრძოლის სვიანობა (ბედი) და მის დროსვე დაიშალა სამეფო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ... თავიდან მოხდა განხეთქილება

და სამეფო სამად გაიყო. ერთი მეფე დაჯდა იმერეთში, ერთი კახეთში და დანარჩენი ნაწილი ქართლის მეფეს დარჩა. მაგრამ ესეც არ იკმარეს და განდგა ათაბაგი. მან დაიპყრო საათაბაგო. ასევე იმერეთისგან განდგა დადიანი, გურიელი, შარვაშიძე და სვანები და საკუთარი საზღვრები დაიკავეს..“ (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, 2020: 195);

- ✓ 42-ე რუკაზე, „შაჰ-თამაზის ლაშქრობები საქართველოში 1541-54 წწ.“, დასავლეთ საქართველო გაერთიანებულია იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში და აფხაზეთის ტერიტორიული ერთეულიც მისი ნაწილია, თუმცა ცხუმი (სოხუმი) მის ფარგლებს გარეთაა დარჩენილი (ოდიშის ფარგლებშია) (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, 2020: 224). ასევეთივე ვითარებაა 228-ე გვერდზე განთავსებულ N44 რუკაზე „მუსტაფა ლალა-ფაშას ლაშქრობა კავკასიაში 1578 წ.“ აფხაზეთის საერისთავო კვლავ დასავლეთ საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ფიქსირდება (ოდიშის საერისთავოს შემდეგ), იმერეთის სამეფოს საზღვრებში, იმავე ტერიტორიაზე, როგორც ეს ადრინდელ რუკებზე. აქაც, ისევე როგორც შემდეგი საუკუნეების რუკებზეც, ცხუმი აფხაზეთს გარეთაა.
- ✓ აღსანიშნავია, რომ ნიკოფსიაც (ანტიკური პერიოდის ძველი ლაზიკე) XVI საუკუნიდან თანდათან გამოეთიშა საქართველოს პოლიტიკისა და კულტურის გავლენას, თუმცა ამ მიმართულებით სახელმძღვანელო აქცენტს არ აკეთებს.
- ✓ აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოს დანართებში (დანართი 2, გვ. 254), სადაც ნაჩვენებია საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, აფხაზეთის მხარე მდ. ფსოუდან კოდორამდეა და მასში შედის ცხუმიც (სოხუმი), რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, გარდა რუკა 40-ზე წარმოდგენილი ვითარებისა (გვ. 196), არ შედიოდა აფხაზეთის შემადგენლობაში და ზოგადადაც, „აფხაზეთი“, ტერიტორიულად გეოგრაფიულად, არ მოდიოდა მდინარე კოდორამდე (მაგ., გვ. 98), რუკა 18-ზე კი „თურქ-სელჩუკთა ლაშქრობები საქართველოში”, საზღვარი არა მდინარე ფსოუზე, არამედ ანაკოფიასთანაა (დასავლეთის საზღვარი - ნიკოფსიის იქეთ).

ძირითადად იგივე მოსაზრებებს და ვითარებას ვხვდებით გამომცელობა „ლოგოს პრესის“ VIII კლასის „ისტორიის“ სახელმძღვანელოში (გრიფირებულია 2020 წელს), (სურგულაძე, კეკელია, 2020).

ცნება „აფხაზისა“ და „აფხაზეთის“ გააზრების მხრივ სახელმძღვანელო ასეთ სავარჯიშოსაც სთავაზობს მოსწავლეებს „როგორ ესმოდა სამეფო-სამ-

თავროების პერიოდის (IX-X სს.) ქართულ განათლებულ საზოგადოებას ცნებები „ქართველი“ და „ქართლი“?

„ილარიონ ქართველის ცხოვრება“: „წმიდა მამა ილარიონი იყო ნათესავით ქართველი, დაიბადა ნეტარი მამა ქართლის ქვეყანაში, კერძოდ, კახეთის მხარეში“;

„დავით და კონსტანტინეს წამების“ სათაური: „ეს უძლეველი მოწამეები იყვნენ ნათესავით ქართველები, აფხაზეთის ქვეყნის მკვდრები, არგვეთის სანახებიდან“.

„გიორგი, მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“: ქართლში ყველა ის მხარე იგულისხმება, რომლებშიც ღვთისმსახურება და ლოცვა ქართულ ენაზე აღესრულება“ (სურგულაძე, კეკელია, 2020: 81).

ამავე დროს სახელმძღვანელოში საკმაო ყურადღებაა დათმობილი ვიზუალურ მასალაზე: მაგალითად, 104 - ე გვერდზე განთავსებულ რუკაზე„საქართველო დავით აღმაშენებლის მეფობის ბოლოს“ 1120-1125 წწ., რუკის ლეგენდაში მითითებულია საქართველოს ახლანდელი საზღვრები და იმდროინდელი საზღვრები, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს თვალი მიადევნოს, რა შეიცვალა „აფხაზეთის“ საზღვრებთან დაკავშირებით თანამედროვე ეპოქაში. *აღსანიშნავია, რომ მოცემული სახელმძღვანელო დასავლეთ საქართველოში VIII საუკუნის ბოლოს შექმნილი პოლიტიკური ერთეულის აღსანიშნავად ხმარობს ტერმინს „ეგრის-აფხაზეთის სამეფო“, როდესაც, მაგ. „დიოგენეს“ სახელმძღვანელოში გვხვდება ტერმინი „აფხაზთა სამეფო“ (კოლხეთის კონტექსტში)* (კერესელიძე, შალვაშვილი, სურგულაძე, კეკელია, 2020: 102).

საინტერესო მასალებს სთავაზობს მე-9 კლასის ისტორიის სახელმძღვანელო მოსწავლეებს:*რუკა 9:* „ტოტლებენის ექსპედიცია საქართველოში 1769-1770“ - დასავლეთ საქართველო მთლიანად იმერეთის სამეფოს საზღვრებშია მოქცეული (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, ფირცხალავა, 2020: 53).

რუკა 10, „დასავლეთ საქართველო XVIII ს-ის ბოლოს“ - აფხაზეთის სამთავარო ცალკე ერთეულია, მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით და მის საზღვრებშია სოხუმი (ცხუმი) (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, ფირცხალავა, 2020: 60).

რუკა 21: „ყირიმის ომი - ომარ-ფაშას ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში 1855 წ.“ - სოხუმი აფხაზეთშია, რომლის საზღვარიც ენგურამდეა გადმოწეული (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, ფირცხალავა, 2020: 155).

რუკაზე „ჩრდილოეთ კავკასია XXI საუკუნის დამდეგს“,სოხუმი კვლავ აფხაზეთის ტერიტორიაზეა, რომლის შემადგენლობაში სოჭი უკვე აღარ მდებარეობს (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, ფირცხალავა, 2020: გვ. 158). *აღსანიშნავია, რომ ზოგადად როგორ დაიკარგა საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-*

დასავლეთი საზღვარი და რა ცვლილებები განიცადა ამ მიმართულებით საქართველოს საზღვრებმა რუსეთის იმპერიის უშუალო ჩარევით და მის მიერ გატარებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ცვლილებებით, სახელმძღვანელოებში არ არის აქცენტი გაკეთებული.

რუკა 23 „ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობა რუსეთის მიერ XIX ს-ში“, 1864 წელს რუსეთის შემადგენლობაში მოექცა აფხაზეთის სამთავრო სოხუმთან ერთად (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, ფირცხალავა 2020: გვ. 159).

რუკა38 „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება 1918 წ.“ – წინა ვითარებასთან შედარებით აღნიშნულ ტერიტორიას უკვე „სოხუმის ოკრუგი“ეწოდება(ახმეტელი,ლორთქიფანიძე,ფირცხალავა 2020: 248).

რუკა 41 „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალში“ - რუკაზე მონიშნულია რსფსრ-სთან სადაო დასავლეთ საქართველოს ის უკიდურსი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, რომელიც ისტორიულად საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში შემოდიოდა და რუსეთის იმპერიულმა ხელისუფლებამ თავის საზღვრებში მოაქცია (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, ფირცხალავა 2020:268).

1992-1993 წლების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლების უშუალო ჩარევით, სამხედრო კონფლიქტის შედეგად, აფხაზეთი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფარგლებში აღარ შედის, თუმცა საქართველოს ხელისუფლებლებას, ქართველ ხალხს, არასოდეს უღიარებია ოკუპირებული ტერიტორიის დამოუკიდებლობა და იმედია, მომავალში ეს მხარე თავის ისტორიულ-გეოგრაფიულ საზღვრებს დაუბრუნდება და ერთიანი საქართველოს განუყოფელი ნაწილი გახდება.

რაც შეეხება „ლოგოს პრესის“, მე-9 კლასის მოსწავლის წიგნს, 111-ე გვერდზე ვკითხულობთ „აფხაზი და ქართველი თავადები ერთნაირად იცვამენ“ (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, ფირცხალავა 2020: 111).

„ლოგოს პროესის“ იმავე კლასის, მოსწავლის რვეულის მე-60-ე გვერდზე ვკითხულობთ, „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ზეიმობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები: იმერი და ამერი, აჭარა და შავშეთი, კახეთი და ჯავახეთი, სვანეთი და აფხაზეთი“ (ახმეტელი, ლორთქიფანიძე, ფირცხალავა 2020: 60).

როგორც ვხედავთ, ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოებში, ზოგადად, ცნება „აფხაზეთის“ გააზრების მხრივ კონკრეტული, ერთიანი მიდგომა არ არსებობს, რადგან თავად მეცნიერ-ისტორიკოსთა შორის არ არის ამ საკითხზე მსგავსი მოსაზრებები, მაგრამ შესაძლებელია მოსწავლეს უფრო მეტი ნარატიული მასალა და წყაროები შევთავაზოთ, მეტი სავარჯიშოები მივცეთ ვიზუალური მასალებისა და რუკების დასამუშავებლად, აქტიურად გამოვიყე-

ნოთ მედიაწიგნიერების მიდგომები და მისი შესაძლებლობები. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში დამოკიდებულებები და წარმოდგენები ისტორიული-გეოგრაფიული აფხაზეთის მიმართ გაცილებით ღრმა და საფუძვლიანი იქნება, გამოუმუშავდებათ ის უნარები, რომელიც საკითხების ღრმად კონტექსტუალიზაციის საშუალებას მისცემს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ახმეტელი, ლორთქიფანიძე, ფირცხალავა (2020), ნატა ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე, ნათია ფირცხალავა, ისტორია, IX კლასი, მოსწავლის წიგნი, გამომცემლობა „დიოგენე“;

ახმეტელი, ლორთქიფანიძე, ფირცხალავა (2020), ნატა ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე, ნათია ფირცხალავა, ისტორია, IX კლასი, მასწავლებლის წიგნი, გამომცემლობა „დიოგენე“;

ახმატელი, ლორთქიფანიძე (2020), ნატა ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე, ისტორია, მოსწავლის რვეული, VIII კლასი, გამომცე. „დიოგენე“;

თოფჩიშვილი,მეძმარიაშვილი,ელიზბარაშვილი,ავთანდილაშვილი, (2018) როლანდ თოფჩიშვილი, ელენე მეძმარიაშვილი, ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი. ჩვენი საქართველო, VI კლასი, მოსწავლის წიგნი, გამომცემლობა „კლიო“;

კერესელიძე, უზუნაშვილი, სურგულაძე, კიკნაძე, სუმბათაშვილი, 2020: ლაშა კერესელიძე, თამარ უზუნაშვილი, მზია სურგულაძე, ზურაბ კიკნაძე, ეკატერინე სუმბათაშვილი, ისტორია, VII კლასი, გამომცელობა „ლოგოს პრესი“;

კერესელიძე, შალვაშვილი, სურგულაძე, კეკელია (2020) ლაშა კერესელიძე, თამარ შალვაშვილი, მზია სურგულაძე, ვლადიმერ კეკელია, ისტორია, VIII კლასი, მასწავლებლის წიგნი, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“;

კუპრავა - გოგოლაძე, ავთანდილაშვილი (2018) ანა კუპრავა - გოგოლაძე, გიორგი ავთანდილაშვილი. „ჩვენი საქართველო“, VI კლასი, მასწავლებლის წიგნი, გამომცემლობა „კლიო“;

ლორთქიფანიძე, ახმეტელი, (2019) ბესიკ ლორთქიფანიძე, ნატა ახმეტელი, ისტორია, VII კლასი, მოსწავლის წიგნი, გამომცელობა „დიოგენე“.

სურგულაძე, გამყრელიძე, კიკნაძე, პატარიძე, კერესელიძე, (2020) მზია სურგულაძე, გელა გამყრელიძე, ზურაბ კიკნაძე, ლელა პატარიძე, ლაშა კერესელიძე. ისტორია, VII კლასი, მოსწავლის წიგნი, გამომცელობა „ლოგოს პრესი“.